# საქართველოს პრემიერ-მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№358 2017 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლებამოსილების საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის გ. მღებრიშვილისთვის დელეგირების შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით და „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს პრემიერ-მინის-

ტრის თანაშემწეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანს გიორგი მღებრიშვილს.

გიორგი კვირიკაშვილი